სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „მეტრო სერვის +“ ს/კ 205150352 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს რეზერვირების დისკური მოწყობილობების შესყიდვაზე.

მახასიათებლები

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

შესყივდის ობიექტი:

რეზერვირების დისკური მოწყობილობების რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები:

რაოდენობა	2 ცალი
ფორმ ფაქტორი	Rack-mount სტანდარტულ სასერვერო კარადაში, უნდა მოყვებოდეს მონტაჟისთვის საჭირო ყველა აქსესუარი
დისკები	არანაკლებ 7.2K rpm SAS დისკი
გამოყენებადი სივრცე	არანაკლებ 32 TB (RAID-6 დაცვით)
დაცვის ტექნოლოგია	RAID-6 + Hot Spare
Front-End პორტები	მინ. 4 ცალი 10Gb Ethernet SFP+ 2m DAC კაბელებით
პროტოკოლების მხარდაჭერა	CIFS, NFS, Open Storage (OST)
რეზერვირების სისტემებთან თავსებადობა	Veritas NetBackup 9-თან Open Storage (OST) პროტოკოლით მიერთების საშუალება - სისტემა წარმოდეგნილი უნდა იყოს Veritas NetBackup Hardware Compatibility List-ის OST-Appliance-ების ჩამონათვალში
დედუპლიკაცია	• ყველა მხარდაჭერილი პროტოკოლიდან მიღებული მონაცემების გლობალური დედუპლიკაცია; • ცვლადი დედუპლიკაციის ბლოკის ზომა; • განაწილებული დედუპლიკაცია - დედუპლიკაციის დატვირთვის რეზერვირების სერვერ(ებ)ზე გადანაწილება;

ლიცენზირებული ფუნქციონალი	• სისტემის ცენტრალიზებული მართვა GUI და CLI მეშვეობით • მონაცემების In-Line დედუპლიკაცია და კომპრესია • Open Storage (OST) პროტოკოლის გამოყენების საშუალება • მონაცემების მყისიერი კოპიების შექმნა (Snapshots) ყველა ლიცენზია უნდა იყოს უვადო და იმავე მწარმოებლის, რაც რეზერვირების დისკური სისტემა.
კვება და გაგრილება	სრულად დუბლირებული კომპონენტები
გარანტია	მწარმოებლის 3 წლიანი მხარდაჭერის სერვისი 24 სთ x 7 დღე რეჟიმში მხარდაჭერით სრულ აპარატურულ-პროგრამულ კომპლექსზე;

მოთხოვნები მომწოდებლის მიმართ

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF);

მოწოდება უნდა განხორციელდეს 2022 წლის 15 აგვისტომდე.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს დოლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@msplus.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 09/06/2022 20:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.